



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 89
23/01/2018

89-02-4-201801231529



ადმინისტრაციულ ერთეულებში ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის -
მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე დამატებითი
საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის
შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ადმინისტრაციულ ერთეულებში ონის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის -
მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად
კანდიდატისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) სრული ზოგადი განათლება;

ბ) კომპიუტერული პროგრამების (MS Word, Excel) კარგად ცოდნა;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- „ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №19 დადგენილება;

დ) უნარ-ჩვევები:

დამოუკიდებლად და გუნდურად მუშაობის უნარი; დეტალებზე ორიენტირება;
კომუნიკაცია მოქალაქეებთან; პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი

